ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №178

№534 29.08.2016ნ.

ქ. ქუთაისი ~26~აგვისტო 2016წ.

შ.პ.ს.რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის **ნუგზარ ბოლქვაძის** სახით,(შემდგომში "შემსყიდველად" წოდებული),ერთის მხრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო, მისი უფროსის **მამუკა ბერელიძის** სახით, (შემდგომში"მიმწოდებლად" წოდებული),მეორე მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "მიმწოდებელი" შესაბამისი მოკვლევის აქტის საფუძველზე, უზრუნველყოფს **შ.პ.ს. რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ლანჩხუთის საავადმყოფოს C ჰეპატიტის პროგრამის ოთახის** დაცვას (შემდგომში ~ობიექტად~ წოდებული~), რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, ჭანტურიას ქ. №21-ში. (CPV- 79713000 – დაცვის მომსახურება)

1.2. ~ობიექტის~ დაცვა განხორციელდება "შემსყიდველის" მიერ ~ობიექტის~ დაცვის ცენტრალიზებულ პუნქტზე ჩაბარებისა და ~დაცვის~ მიერ ობიექტის დაცვაში აყვანის შემდეგ;

1.3. „ობიექტის" დაცვას **ერთი გასაღების (დაცვითი პერიმეტრული სიგნალიზაციის) საშუალებით** განახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი _ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს **სამტრედია-ვანის დ/პ განყოფილება.**

მუხლი 2.ანგარიშსწორების პირობები

2.1 "მიმწოდებელის" მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენს -**145**(ასორმოცდახუთ) ლარს, დ.ღ.გ-ს ჩათვლით; მომსახურების საერთო ღირებულება, **2016 წლის 01 სექტემბრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით** შეადგენს **580** (ხუთასოთხმოცი) ლარს დ.ღ.გ-ს ჩათვლით და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

2.2 ანგარიშსწორება მხარეთა შორის მოხდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

2.3 "მიმწოდებელის" მომსახურების საგადასახადო დოკუმენტაციის შედგენას უზრუნველყოფს შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო.

მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 "მიმწოდებელი" **ვალდებულია:**

3.1.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადით, ხელშეკრულების მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მის საკუთრებაში არსებული (დანართი #1) აპარატურის (მოწყობილობები) მონტაჟი-ინსტალაცია ~შემსყიდველის~ ობიექტზე;

3.1.2 ცენტრალიზებული დაცვის პულტზე განგაშის მიღებიდან არაუგვიანეს 8 (რვა) წუთისა მოახდინოს ~ობიექტზე~ გამოცხადება და ადგილზე მისვლის შემდეგ, უზრუნველყოს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთა-აცილება;

3.1.3 ~ობიექტზე~ მომხდარი სამართალდარღვევის ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ~შემსყიდველს~ და უზრუნველყოს შს შესაბამისი ორგანოების გამოძახება, ხოლო მათ მოსვლამდე დაიცვას შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა;

3.1.4 . სიგნალ ~განგაშის~ მიღებისას ობიექტის გასახსნელად, სიგნალის ამუშავების მიზეზის დასადგენად, აგრეთვე ობიექტის ხელმეორედ დაცვაზე ასაყვანად გამოიძახოს ~შემსყიდველი~ ან ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე ~შემსყიდველის~ მიერ ნდობით აღჭურვილი პირი;

3.1.5 . არ მიიღოს ~ობიექტი~ დაცვაში, თუ არ შესრულდა მოკვლევის აქტით განსაზღვრული მოთხოვნები ან შეიქმნა ისეთი პირობები რომლის გამოც, "მიმწოდებლისგან" დამოუკიდებელი მიზეზებით არ ხერხდება დაცვაში აყვანა, რაზედაც ~შემსყიდველს~ ეცნობება წინასწარ;

3.1.6 . იკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია "მიმწოდებლის" ვალდებულებების არაჯეროვანმა შესრულებამ და არა ~შემსყიდველის~ დაუდევრობამ;

3.2. ~შემსყიდველი~**ვალდებულია:**

3.2.1 ~ობიექტის~ დაცვაზე მიღება-ჩაბარებისათვის ოფიციალურად გამოყოს ნდობით აღჭურვილი პირი (სანდოპირი) და ~მიმწოდებელთან~ შეთანხმებით გადასცეს მას სიგნალიზაციით სარგებლობის, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების უფლება;

3.2.2 . განგაშის შემთხვევაში ~მიმწოდებელს~ მისცეს დასაცავი ~ობიექტის~ გახსნისა და დათვალიერების საშუალება;

3.2.3 . უცხო პირებს არ გაანდოს დაცვის ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესები, ობიექტზე მინიჭებული პირობითი ნომერი;

3.2.4 . სიგნალიზაციის გაუმართაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ~მიმწოდებელს~, დაელოდოს ~მიმწოდებლის~ წარმომადგენლის გამოცხადებას და მის მიერ ნაკლოვანებების აღმოფხვრას;

3.2.5 . ელექტრო-ენერგიის ავარიული გამორთვის შემთხვევაში იქონიოს გამართულ მდგომარეობაში დასამუხტი და სარეზერვო მკვებავი საშუალებები.

3.2.6 . წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.1 პუნქტში მითითებული მოწყობილობების (რომლებიც წარმოადგენს საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის, იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს საკუთრებას და ~მიმწოდებლის~ მიერ საკუთარი ხარჯებით არის დამონტაჟებული ~შემსყიდველის~ ობიექტზე) განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანების შემთხვევაში 5 სამუშაო დღის განმავლობაში აანაზღაუროს მიყენებული ზარალი განსაზღვრული დანართი #1-ით მითითებული ღირებულების შესაბამისად;

3.2.7 . უზრუნველყოს მოკვლევის აქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

3.2.8 . არ დაუშვას ~მიმწოდებლის~ მიერ დამონტაჟებული აპარატურის გადაკეთება ან შეკეთება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში ~მიმწოდებელი~ არ აგებს პასუხს დამკვეთის თვითნებური მოქმდებით გამოწვეულ გაუმართაობაზე (შეფერხებაზე) და ~შემსყიდველისათვის~ მიყენებულ ზიანზე;

3.2.9 რეკვიზიტების (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები) შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ~მიმწოდებელს~.

3.2.10 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხევაში, დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის `ბ~ პუნქტით განსაზღვრული მოწყობილობების შემოწმებისა და დემონტაჟის მიზნით, ვალდებულია უზრუნველყოს ~მიმწოდებლის~ წარმომადგენლების დაშვება ობიექტზე.

მუხლი 4. ფორს-მაჟორი

4.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობათა შესრულება.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ობიექტის დაცვაში აყვანის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 6. ხელშეკრულების სხვა პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დანართი #1, მხარეთა მიერ შედგენილი დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი და მხარეთა შორის გაფორმებული ,,ობიექტის'' მოკვლევის აქტი.

6.2. ~მიმწოდებელი~ უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება მომსახურების ,,ტარიფის'' გაზრდის ან შემცირების შესახებ, რომელიც ორი კვირით ადრე წერილობით უნდა ეცნობოს ~შემსყიდველს~. თუკი აღნიშნული ვადის გასვლამდე ~მიმწოდებელმა~ არ მიიღო შეტყობინება ~შემსყიდველისაგან~ იმის შესახებ, რომ იგი არ ეთანხმება ცვლილებას, ითვლება, რომ მხარე იღებს ახალ პირობას;

6.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რის შესახებ ვალდებულნი არიან ათი დღით ადრე წერილობით აცნობონ ერთმანეთს;

6.4. ~შემსყიდველის~ ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) ქმედებით გამოწვეულ ,,ცრუგანგაშზე" დასაცავ ობიექტზე ~მიმწოდებელის~ გამოცხადების პირველი შემთხვევის დროს, ~შემსყიდველს~ ეძლევა წერილობითი გაფრთხილება „ცრუგანგაშის" განმეორების შემთხვევებში პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. ყოველი მომდევნო ,,ცრუგანგაშის" შემთხვევაში ~შემსყიდველი~ ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

6.5. ~მიმწოდებელი~ უფლებამოსილია ხელშეკრულების შეწყვეტიდან 3 სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის `ბ~ პუნქტით განსაზღვრული მოწყობილობების შემოწმება და დემონტაჟი;

6.6. დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის `ბ~ პუნქტით განსაზღვრული მოწყობილობები წარმოადგენს ~მიმწოდებელის~ საკუთრებას;

6.7.სადაო საკითხებს მხარეები წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

6.8.წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს;

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალისმქონე ეგზემპლარად, რომელთაგან, ერთი ინახება ~შემსყიდველთან~, ხოლო ორი , ~მიმწოდებელთან~.

მხარეთარეკვიზიტებიდახელმოწერები:

~შემსყიდველი~

შ.პ.ს. რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი
მის: თბილისი, ძველი თბილისის რ/ნი,
ივ. ჯავახიშვილის ქ. №51
ს/კ:№236035517
ანგ. №GE86LB0113112241617000 ს. ს. „ლიბერთი ბანკი"
ტელ: 595 030- 772; (+99532) 2 95 15 90

დირექტორი **/ნ. ბოლქვაძე/**

~მიმწოდებელი~

შსსსიპდაცვისპოლიციისდეპარტამენტისიმერეთი-გურიისრეგიონალურიდაცვისპოლიციისსამმართველო
ქ. ქუთაისინიკეას №9; ს/კ 211350928მიმღების ბანკი_ სახელმწიფო ხაზინა;მიმღების დასახელება _ ხაზინის ერთიანი ანგარიში;ბანკის კოდი _ TRESGE22;

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი _707117042

იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოსუფროსი: **/მ. ბერელიძე/**

ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა № 534

დროებით სარგებლობაში მოცემული მასალების რაოდენობა და ფასი დანართი №1

ხარჯთაღრიცხვის №	534	მასალის ღირ.	1 071,76
ხელშეკრულების თარიღი	29.08.16	მონტაჟი	0,00
ხელშეკრულების სტარტ თარიღი	29.08.16		
ხელშეკრულების ვადა		დღგ	192,92
ხელშეკრულების პროლონგაცია		მასალების ღირებულება	1 264,68
დამკვეთის საინდეტიფიკაციო (პირადი) №	ს/კ №	236035517	
დამკვეთის დასახელება	შ.პ.ს. რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი		
დამკვეთის მისამართი	თბილისი, ძველი თბილისის რ/ნი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №51		
ხელმომწერი	ნუგზარ ბოლქვაძე		
დამკვეთის ანგარიშის №			
დამკვეთის ბანკის კოდის №			

№	საქონლის კოდი	შტრიხ-კოდი	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი		სულ თანხა	
						დღგ გარეშე	დღგ ჩათვლით	დღგ გარეშე	დღგ ჩათვლით
1	2		3	4	5	6	7	8	9
1	4986		რადიო მიმღებ-გადამცემი	ცალი	1	570,50	673,1900	570,50	673,190
2	06/410/56		საკონტროლო პანელი	ცალი	1	255,65	301,6657	255,65	301,666
3	8533		მოძრაობის დეტექტორი	ცალი	2	12,29	14,5000	24,58	29,000
4	8728		ვიბრო სენსორული დეტექტორი	ცალი	2	59,83	70,5969	119,66	141,194
5	1168		მინის მსხვრევის დეტექტორი	ცალი	1	17,42	20,5556	17,42	20,556
6	4060		ტრანსფორმატორი	ცალი	1	15,98	18,8581	15,98	18,858
7	1325		კვამლის სახანძრო დეტექტორი	ცალი	1	63,23	74,6114	63,23	74,611
8	06/400/55		სირენა	ცალი	1	4,75	5,6074	4,75	5,607
			ჯამი :		10	999,65	1179,585	1071,76	1264,682

"შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი"

შ.პ.ს. რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი
თბილისი, ძველი თბილისის რ/ნი, ივ.
ჯავახიშვილის ქ. №51
ს/კ №236035517
დირექტორი /ნუგზარ ბოლქვაძე/

"მ ი მ წ ო დ ებ ე ლ ი"

იმერეთი-გურიის რეგიონალური
დაცვის პოლიციის სამმართველ
ქ. ქუთაისი - ნიკეას ქ. №
ს/კ №211350928
უფროსი: /მამუკა ბერელიძე/